ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი სხდომის

ოქმი N7

ქ. ზუგდიდი, 2022 წლის 18 ნოემბერი

შეხვედრის ადგილი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია. სხდომათა დარბაზი (ქ. ზუგდიდი, შ. რუსთაველის ქ. N90).

სხდომის დაწყების დრო: 16:00 საათი

დღის წესრიგი:

საკითხი 1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო სხულუხია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;

სხდომის მდივანი:

თამარ ჯიჭონაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი, მდივანი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- თამარი სოსელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ია ეხვაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მონიკა ჩიქობავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ჯაბა ბეჭვაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

• ნანა ნაჭყებია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

• თამარ ჯიჭონაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი, მდივანი;

• ქეთევან ესართია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

• თამარ ჩიქავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

• ნათია ქუჩულორია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

• აქსანა გუჩუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

• ნონა კვარაცხელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

• პაპუნა ჭკადუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის, ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის კოორდინაციის განყოფილების უფროსის და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციების შემსრულებელი, უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

• თამარ მესხია - ,,SOS ბავშვთა სოფელი"-ს ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

• მზისადარ ფიფია - ,,კოალიცია შშმ უფლებებისთვის" ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:

- კონსტანტინე კაკავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშო ჯგუფის თავმჯდომარე.
- თეონა გასაშვილი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

სხდომის მდივანმა განმარტა რომ სამუშაო ჯგუფის წევრებს კანონით დადგენილ ვადაში ეცნობათ სხდომის გამართვის თარიღის, დროსა და ადგილის შესახებ.

სხდომის თავმჯომარემ გახსნა სხდომა და სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

ნინო სხულუხია: ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევა არის დაგეგმვის პროცესის ნაწილი და მისი მიზანია მოწყვლადი

ჯგუფებისა და ადგილობრივი თემის საჭიროებათა გამოვლენა. აღნიშნული კვლევა და მისი შედეგები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის იქნება სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს, დღეს მოქმედი პროგრამების ეფექტურობის შეფასებას და საფუძველს ჩაუყრის ახალი, კვლევისთვის შერჩეული სამიზნე ჯგუფებისთვის, უფრო ეფექტური სოციალური სერვისების შეთავაზებას და დანერგვას.

სხდომის თავმჯდომარემ სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგინა გაწეული საქმიანობისა და ჩატარებულ საჭიროებათა კვლევის ანგარიში. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კვლევის ფარგლებში ინფორმაციის შეგროვება განხორციელდა ანკეტური გამოკითხვისა და ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრის საფუძველზე. რაც შეეხება ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ წარმოებულ ანკეტურ გამოკითხვას, მასში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი თემის 471 წარმომადგენელმა.

საჭიროებათა კვლევის მიზნებისთვის, სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლების მიერ ჩატარდა ჯამში 8 ფოკუს-ჯგუფური დისკუსია (ჯგუფში მონაწილეთა საშუალო რაოდენობა 10-15 მონაწილე), რომელმაც მოიცვა შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

- **ფოკუს ჯგუფი - საჯარო დაწესებულებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;**
- **ფოკუს ჯგუფი - უწყებათაშორისი კომისია;**
- **ფოკუს ჯგუფი - ამბულატორიის ექიმები;**
- **ფოკუს-ჯგუფი - სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგები;**
- **ფოკუს-ჯგუფი - სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები;**
- **ფოკუს ჯგუფი - შშმ ბავშვების მშობლები;**
- **ფოკუს ჯგუფი - შშმ ბავშვებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები;**
- **ფოკუს ჯგუფი - ღარიბი ოჯახები.**

<u>კვლევის ძირითადი მიგნებები და პრიორიტეტები</u>

განხორციელდა შეხვედრების ანგარიშების ანალიზი და გამოიკვეთა ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების ძირითადი საჭიროებები, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მუნიციპალიტეტში ბავშვიანი ოჯახებისათვის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს **სიღარიბე, უმუშევრობა და დაბალი შემოსავლი.**

ქალაქად გამოკითხული ოჯახების საჭიროებების კვლევის შედეგები:

მშობლების შეფასებით, ბავშვებისთვის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევები იკვეთება ტანსაცმლის, ჯანსაღი/ბალანსირებული კვების, სასკოლო ნივთებისა და ინვენტარის, ასაკის შესაბამისი განმავითარებელი სათამაშოებისა და ბავშვების სკოლისგარეშე აქტივობებში ჩართვის საჭიროებით.

სოფლად გამოკითხული ოჯახების საჭიროებების კვლევის შედეგები:

1. სოფლად გამოკითხული ოჯახების მიერ, მთავარ საჭიროებად დასახელდა:
   1.1 ჯანსაღი კვება;
   1.2 ტანსაცმლი და ფეხსაცმლი;
   1.3 სათამაშო და შემეცნებითი მასალები;
   1.4 პირადი ჰიგიენის ნივთები;
   1.5 სასწავლო ნივთები.
2. ბავშვების მიერ იდენტიფიცირებულ საჭიროებებში ძირითადად დასახელდა ტექნიკა (კომპიუტერი) და სათამაშოები;
3. განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა კომუნიკაციებთან და ინფრასტრუქტულ მოწყობასთან დაკავშირებული სირთულეები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების სპეციფიკური საჭიროებები:

1. მედიკამენტები / სამედიცინო დახმარება;
2. ფინანსური დახმარება;
3. ინკლუზიური განათლება;
4. დამხმარე საშუალებები;
5. პერსონალური ასისტენტი.

მიუხედავად სკოლების ინკლუზიური სტატუსისა, ინკლუზიურ განათლებაზე დაბალი ხელმისაწვდომობა იკვეთება ერთ-ერთ საჭიროებად შშმ / სსმ ბავშვებისთვის. სკოლებში არ ჰყავთ საჭირო რაოდენობით სპეციალური მასწავლებლები, რომელებსაც ექნებათ შესაბამისი მომზადება და უზრუნველყოფენ სასკოლო სივრცეში შშმ / სსმ ბავშვის სათანდო ჩართულობა.

თვისებრივი კვლევით გამოიკვეთა, რომ არსებული სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსება შშმ ბავშვებისთვის უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერაა, თუმცა რიგ შემთხვევაში არასაკმარისი. არსებობს დაფინანსებული საათების გაზრდის საჭიროება, რათა ბავშვმა მიიღოს ყველა საჭირო სპეციალისტის მომსახურება და ოჯახს არ უწევდეს რომელიმე ერთზე არჩევანის გაკეთება.

ამასთან, რიგ შემთხვევებში პრობლემას წარმოადგენს შშმ ბავშვების ტრანსპორტირების (მათ შორის სკოლაში ჩართვის კუთხითაც) საკითხები, განსაკუთრებით იმ ფონზე რომ გარემო არაადაპტირებულია.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, მნიშვნელოვან საჭიროებად სახელდება პერსონალური ასისტენტის სერვისის განვითარება და შშმ ბავშვების მშობელთა მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება.

დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამის გაუმჯობესება, რათა საჭიროების მქონე პირს ადეკვატური/საჭიროებაზე მორგებული დახმარება გაეწიოს, მათ შორის სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სმენის აპარატის და მისი შემადგენელი ნაწილების სრულად მიწოდება სახელდება როგორც მნიშვნელოვანი საჭიროება.

ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობა და აღზრდის ძალადობრივი მიდგომების კუთხით,

თვისებრივი კვლევის კომპონენტში, რომელიც განხორციელდა მათ შორის ბავშვების/ახალგაზრდებისა და სპეციალისტების მონაწილეობით, გამოიკვეთა ოჯახებისა და ბავშვების ისეთი საჭიროებები, როგორიცაა მშობელთა განათლების დონის ამაღლების და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების (დღის ცენტრები, სკოლის შემდგომი აქტივობები) აუცილებლობა. ხაზგასმით აღინიშნა, დღის ცენტრების მომსახურების გაფართოების საჭიროება და მოთხოვნასთან შედარებით ცენტრების სიმცირე. ამგვარი სერვისების მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე დიდწილად საუბრობენ მშობლები და ძირითადი ინფორმანტები / სპეციალისტები.

საზიანო გენდერული ნორმები და გენდერული ნიშნით ძალადობა:

- ოჯახში ძალადობა, თემისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა, რომელიც იკვეთება ოჯახში ძალადობის შემსწრე ან/და ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის სათანადო მომსახურებების არ არსებობით და მათი „გაქრობით უწყებების თვალთახედვიდან";
- სექსუალური შევიწროვება და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა მზარდ პრობლემად სახელდება ძირითადი ინფორმანტების მიერ, რომლებიც მუშაობენ ძალადობის საკითხებზე. ამ კუთხით არ არსებობს როგორც სათანადო პრევენციული ღონისძიებები, ასევე რეაგირება ყველაზე საუკეთესო შემთხვევაშიც კი დაიყვანება შესაბამისი უწყებებთან მიმართვიანობაზე და ხელმისაწვდომი არ არის შემდგომი ფსიქო-სარეაბილიტაციო სახის მომსახურებები;
- თემში აქტუალურია საზიანო გენდერული ნორმები და სტეროტიპები. გადაუნაწილებული ზრუნვის პასუხისმგელობები/საოჯახო საქმეები. ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება ქალების დასაქმებისა და ეკონომიკური გაძლიერების კუთხით. ახალგაზრდები მიუთითებენ, ბიჭებისა და გოგონების აღზრდის

განსხვავებულ და საზიანო მიდგომებზე - გოგო დიასახლისი / მზრუნველი და ბიჭი - ოჯახის მარჩენალი / მემკვიდრე.

თემის დონეზე გამოკვეთილი სხვა ძირითადი საჭიროებები:

თემის დონეზე კრიტიკულად მნიშვნელოვან საჭიროებად იკვეთება, ბავშვებთან მომუშავე სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების (ბაღები, სკოლები და სამედიცინო დაწესებულებები) ინსტიტუციური გაძლიერება, როგორც ადამიანური რესურსების, ასევე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, ამ დაწესებულებებში არსებული გარემო იყოს უსაფრთხო, ბავშვისადმი მეგობრული და ბავშვზე ორიენტირებული. ამისათვის კი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ასევე პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება არის სასიცოცხლოდ აუცილებელი.

ახალგაზრდები და მათთან მომუშავე სპეციალისტები განსაკუთრებულ გამოწვევად ასახელებენ მულტიფუნქციური (შემეცნებით, გასართობი, რეკრეაციული და სპორტული) უსაფრთხო სივრცეების არარსებობას, პროფესიული მომზადების პროგრამების ერთფეროვან არჩევანს და ადგილზე დასაქმების მწირ შესაძლებლობებს. ასევე, ახალგაზრდების ჩართულობის „პარტიულ საქმიანობასთან" გაიგივების მცდელობებს, როგორც მათი მონაწილეობის ხელისშემშლელ ფაქტორს.

აღსანიშნავია, რომ თვისებრივი კვლევის ფარგლებში, სფეროში მომუშავე სპეციალისტების მიერ დამატებით საჭიროებად გამოიკვეთა თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებისა დ მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების სარეაბილიტაციო მომსახურებების მნიშვნელოვნებაც ადგილობრივ დონეზე.

როგორც მომხსენებელი ნინო სხულუხია აღნიშნავს, თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ შექმნილმა მეთოდოლოგიამ საშუალება მისცა მუნიციპალიტეტს მოეცვა საჭიროებათა ფართო სპექტრი, შეესწავლა მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლები, დაენახა არა მხოლოდ პრობლემები, არამედ მათი წარმომქმნელი ფაქტორები.

მან ხაზი გაუსვა, იმ ფაქტს, რომ კვლევის ფარგლებში განხორციელდა საჭიროებათა იდენტიფიცირება და გამოიკვეთა, **ოჯახის მხარდამჭერი პრევენციული პროგრამების/მომსახურებების ერთიანი სტრატეგიის არარსებობა. ფრაგმენტულად მიწოდებული მომსახურებები კი არის მთავარი ხარვეზი ადგილობრივი ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის სისტემისთვის. არნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია პრევენციული, ადრეულ ინტერვენციასა და ოჯახის მხარდამჭერაზე მიმართული პროგრამების / მომსახურებების განვითარება ადგილობრივ დონეზე.**

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ბავშვისა და ბავშვინი ოჯახების ეფექტური მხარდაჭერისთვის მუნიციპალიტეტს უნდა შეეძლოს მათ საჭიროებებზე ზედმიწევნით მორგებული სოციალური პროგრამირება, რის რეალურ შესაძლებლობასაც იძლევა საჭიროებათა კვლევა. ამ კუთხით:

- ✓ კვლევაზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, გადაიხედება არსებული მუნიციპალური პროგრამები;
- ✓ გაუმჯობესდება სოციალური მომსახურების ხარისხი;
- ✓ შემუშავდება ახალი მუნიციპალური პროგრამები;
- ✓ პროგრამების ინიცირებისას, გათვალისწინებული იქნება როგორც საჭიროება, ასევე მისი გამომწვევი მიზეზები;
- ✓ დამკვიდრდება დაინტერესებულ მხარეებთან უფრო მჭიდრო, ეფექტური კომუნიკაციის პრაქტიკა.
- ✓ მეტად გააქტიურდება პირდაპირი კომუნიკაცია ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების ფორმატში. დაემატება ტრენინგ მოდულები მათთვის აქტუალურ თემებზე;
- ✓ შეხვედრები ჩატარდება სკოლის პედაგოგებთან და მშობლებთან.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის განხილვის შემდეგ, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში და კვლევის შედეგები წარედგინოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს.

სხდომა დახურულად გამოცხადდა: **2022 წლის 18 ნოემბერს** დრო 17:00 საათი.

სხდომის თავმჯდომარე: **ნინო სხულუხია**

სხდომის წევრი/ მდივანი: **თამარ ჯიჭონაია**